

# საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

## ბრძანება №33

2019 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

### მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესის დამტკიცების შესახებ

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის და 21-ე მუხლის „ე“, „ი“ და „მ“ ქვეპუნქტების, სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 02 მაისის №102 დადგენილების მე-3 მუხლის „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

#### მუხლი 1

მზღვეველის გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს „მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესი“ თანდართული სახით.

#### მუხლი 2

1. მზღვეველებმა დაზღვევის ყველა სახეობაში, გარდა ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობისა, ამ ბრძანების თანდართული წესით დადგენილი მოთხოვნები დააკმაყოფილონ 2020 წლის 1 იანვრიდან.  
2. მზღვეველის მიერ 2020 წლის 1 იანვრამდე დადებული გადაზღვევის ხელშეკრულებების (მიუხედავად მათი მოქმედების ვადისა) ფარგლებში გადაზღვეულ რისკებზე ამ ბრძანებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნები გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მოქმედება არ ვრცელდება მზღვეველის მიერ 2020 წლის 1 იანვრამდე დადებული დაზღვევის იმ ხელშეკრულებების ფარგლებში აღებულ რისკებზე, რომლებიც არ არის გადაზღვეული და რომელთა მოქმედების ვადა არ აღემატება 2020 წლის 30 ივნისს.

4. მზღვეველი უფლებამოსილია, გადაზღვევის ის ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს გაგრძელებას/განახლებას 2020 წლის 1 იანვრის შემდგომ, გააგრძელოს/განახლოს მხოლოდ ამ ბრძანებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

#### მუხლი 3

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №05 „მზღვეველისათვის ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის შემოღების თაობაზე“.

#### მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საქართველოს დაზღვევის  
სახელმწიფო ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი

დავით ონოფრიშვილი

### მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს მზღვეველის მიერ ერთი რისკით აღებული ნეტო ვალდებულების მაქსიმალურ ზღვარს



საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში და მიზნად ისახავს, ერთმა სადაზღვევო შემთხვევამ არ მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მზღვეველის გადახდისუნარიანობაზე/მის საზედამხედველო კაპიტალზე, მზღვეველის საქმიანობას არ დაემუქროს საფრთხე ერთი რისკის გადაჭარბებული ზემოქმედებით.

2. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება სიცოცხლის დაზღვევის, დაზღვევა (არა-სიცოცხლისა) და გადაზღვევის სახეების მიხედვით სადაზღვევო საქმიანობის ყველა სახეობაზე, გარდა ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობისა.

3. გადაზღვევის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს მხოლოდ იმ გადამზღვეველ კომპანიასთან, რომლის საკრედიტო რეიტინგი/შესაბამისი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მინიმალურ კრიტერიუმებს, რაც მიზნად ისახავს გადამზღვეველი კომპანიის გადახდისუნარიანობით მზღვეველზე უარყოფითი ფინანსური ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანას.

4. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები საკრედიტო რეიტინგებთან/შესაბამის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებთან დაკავშირებით, არ ვრცელდება მზღვეველის მიერ ერთი რისკის საკუთარი მაქსიმალური ზღვრული შეკავების ფარგლებში (არაუმეტეს საზედამხედველო კაპიტალის 15%) აღებული ვალდებულებების გადაზღვევისას.

5. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები საკრედიტო რეიტინგებთან/შესაბამის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებთან დაკავშირებით ფაკულტატური გადაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევებში არ ვრცელდება საქართველოში ლიცენზირებულ მზღვეველზე/გადამზღვეველ კომპანიაზე, რომელიც ახორციელებს გადაზღვევის საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

ამ წესის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მზღვეველი – სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამის სახეში ლიცენზია;

ბ) გადამზღვეველი კომპანია – იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს გადაზღვევის საქმიანობას/სადაზღვევო რისკის მთლიან ან ნაწილობრივ მიღებას;

გ) გადაზღვევა – ოპერაცია, რომლის თანახმად მზღვეველი, გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით, ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველისთვის;

დ) ობლიგატორული გადაზღვევა – გადაზღვევა, რომლის თანახმად მზღვეველი ვალდებულია გადასცეს, ხოლო გადამზღვეველი კომპანია ვალდებულია მიიღოს გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა რისკი;

ე) ფაკულტატური გადაზღვევა – გადაზღვევა, რომლის თანახმად მზღვეველი გადასცემს გადამზღვეველ კომპანიას ერთი ცალკეული პოლისით მიღებულ რისკს ან ერთ ცალკეულ რისკს ერთჯერადად;

ვ) ნეტო ვალდებულება (რისკის მაქსიმალური ზღვრული შეკავება) – დაზღვევის/მიღებული გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხა/სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი გადამზღვეველი კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების გამოქვითვით;

ზ) წამყვანი გადამზღვეველი კომპანია – გადამზღვეველი კომპანია, რომელიც გადაზღვევის ხელშეკრულების თანახმად აღიარებულია ასეთად გადაზღვევის ხელშეკრულების მხარეების მიერ;

თ) საკრედიტო რეიტინგი – კვალიფიციური სარეიტინგო სააგენტოს მიერ გადამზღვეველი კომპანიის შეფასება, რომელიც ეფუძნება მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას;

ი) კვალიფიციური სარეიტინგო სააგენტო – ორგანიზაცია, რომელიც გადამზღვეველ კომპანიას ანიჭებს საკრედიტო რეიტინგს მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობებიდან გამომდინარე;

კ) გადახდისუნარიანობა II-ის (Solvency II) ეკვივალენტური საზედამხედველო რეჟიმი – ქვეყანაში დადგენილი სადაზღვევო საქმიანობის საზედამხედველო რეჟიმი, რომელიც ევროკომისიის მიერ ოფიციალურად იქნა აღიარებული ევროკავშირის გადახდისუნარიანობა II-ის (Solvency II) ეკვივალენტურ საზედამხედველო რეჟიმად;



ლ) ერთი რისკი:

ლ.ა) სიცოცხლის ან/და უბედური შემთხვევის დაზღვევის მიზნებისთვის – სადაზღვევო პოლისის მაქსიმალური ლიმიტი ერთი ფიზიკური პირისთვის;

ლ.ბ) ქონებრივი რისკების დაზღვევის მიზნებისთვის – თითოეული სადაზღვევო პოლისის/ხელშეკრულების მაქსიმალური ლიმიტი, ამასთან, უძრავი ქონების დაზღვევისას „ერთი რისკის“ განსაზღვრისთვის მზღვეველმა უნდა იხელმძღვანელოს ამ წესის დანართი №2-ით დადგენილი ინსტრუქციით;

ლ.გ) პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზნებისთვის – თითოეული სადაზღვევო პოლისის/ხელშეკრულების მაქსიმალური აგრეგირებული ლიმიტი;

ლ.დ) ქონების და ზოგადი პასუხისმგებლობის ერთობლივად დაზღვევისას, დამოუკიდებლად – ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის სადაზღვევო პოლისის/ხელშეკრულების მაქსიმალური ლიმიტი და დამოუკიდებლად – ქონების დაზღვევის სადაზღვევო პოლისის/ხელშეკრულების მაქსიმალური აგრეგირებული ლიმიტი;

ლ.ე) ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთობლივად დაზღვევისას – სადაზღვევო პოლისის/პოლისების ჯამური აგრეგირებული ლიმიტი;

მ) ურთიერთდაკავშირებულ დამზღვევთა ჯგუფი (ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის მიზნებისთვის) – ორი ან მეტი დამზღვევი/დაზღვეული, რომელთა შორისაც არსებობს შემდეგი კავშირი:

მ.ა) დამზღვევი/დაზღვეული მზღვეველისთვის წარმოადგენს ერთ რისკს, ვინაიდან ერთ-ერთი მათგანი ახორციელებს მეორეზე ან დანარჩენებზე კონტროლს პირდაპირი და არაპირდაპირი გზით და/ან

მ.ბ) დამზღვევები/დაზღვეულები მზღვეველისთვის განიხილებიან მზღვეველის მიერ ერთ რისკად, ვინაიდან ისინი ერთმანეთთან იმგვარად არიან დაკავშირებული, რომ თუ ერთ-ერთ მათგანს ექმნება ფინანსური პრობლემები, მეორე ან ყველა დანარჩენი აღმოჩნდება ფინანსური სირთულეების წინაშე.

### **მუხლი 3. ნეტო ვალდებულებების ზღვრული თანაფარდობა საზედამხედველო კაპიტალთან**

1. სადაზღვევო საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, მზღვეველის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებების (მათ შორის მიღებული გადაზღვევით) მაქსიმალური ოდენობა ერთ რისკთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს მზღვეველის მიერ უკანასკნელად გაანგარიშებული და სამსახურისთვის შესაბამისი საანგარიშო თარიღისთვის წარდგენილი საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის 15%-ს.

2. მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებისას გამოიყენება „მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის №16 ბრძანებით დადგენილი პრინციპები და განმარტებები.

3. სადაზღვევო საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში (რომელსაც მიეკუთვნება საბაჟო ვალდებულებების შესრულების გარანტიები, ფინანსური რისკების დაზღვევის პოლისები, საბანკო გარანტიები, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გარანტიები და სხვა ნებისმიერი სახის გარანტია):

ა) მზღვეველის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებების მაქსიმალური ოდენობა ერთ დამზღვევზე და/ან ურთიერთდაკავშირებულ დამზღვევთა ჯგუფზე გაცემულ სადაზღვევო პოლისებზე/გარანტიებზე, არ უნდა აღემატებოდეს მზღვეველის მიერ უკანასკნელად გაანგარიშებული და სამსახურისთვის შესაბამისი საანგარიშო თარიღისათვის წარდგენილი საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის 15%-ს;

ბ) მზღვეველის მიერ აღებული ნეტო ვალდებულებების მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მზღვეველის მიერ უკანასკნელად გაანგარიშებული და სამსახურისათვის შესაბამისი საანგარიშო თარიღისთვის წარდგენილი საზედამხედველო კაპიტალის ათმაგ ოდენობას.

4. ამ წესის მიზნებისთვის მზღვეველის მიერ ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში გაცემული პოლისები/გარანტიები, ძალაში შესულად/გაცემულად ჩაითვლება მისი ხელმოწერის/გაცემის თარიღიდან, მიუხედავად მათი ძალაში შესვლის თარიღისა.



5. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში დადებული იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ბენეფიციარს წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და/ან საწარმო, სადაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50%-ზე მეტია, ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე დამატებით, მზღვეველის მიერ აღებული მაქსიმალური ნეტო ვალდებულების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 (ერთი) მილიონ ლარს თითოეულ გარანტიაზე.

#### **მუხლი 4. გადამზღვეველი კომპანიის მინიმალური კრიტერიუმები**

1. მზღვეველი ვალდებულია გადაზღვევის ხელშეკრულება დადოს მხოლოდ იმ გადამზღვეველ კომპანიასთან, რომელსაც გადაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუმეტეს 18 თვით ადრე გააჩნია:

ა) საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებელი, ამ წესის დანართი №1-ით დადგენილი კვალიფიციური სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის ის მაჩვენებელი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს

ან

ბ) დანართი №1-ით დადგენილი შესაბამისი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც ვრცელდება ამავე დანართით განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგის არმქონე იმ გადამზღვეველი კომპანიების მიმართ, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ საქმიანობას იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს გადახდისუნარიანობა II-ის (Solvency II) რეჟიმი, ან გადახდისუნარიანობა II-ის (Solvency II) ეკვივალენტური საზედამხედველო რეჟიმი.

2. ამ წესის დანართი №1 ადგენს ციფრებში გამოსახულ საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებლებს, რომელიც შეესაბამება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკრედიტო რეიტინგების მაჩვენებლებს/შესაბამის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებს.

3. იმ შემთხვევაში, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს წამყვანი გადამზღვეველი კომპანიის არსებობას ან/და გადამზღვეველი კომპანიის ულიმიტო ვალდებულებას, ამ გადამზღვეველი კომპანიის საკრედიტო რეიტინგი არ უნდა აღემატებოდეს ამ წესის დანართ №1-ში მოცემულ 3-ის ტოლ მაჩვენებელს.

4. ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებებთან მიმართებაში, ამ წესის დანართ №1-ში მოცემული 4-ის ტოლი მაჩვენებლის მქონე თითოეულ გადამზღვეველ კომპანიასთან დასაშვებია გადაზღვევა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაუმეტეს 10%-ისა. ამასთან, ამ გადამზღვეველი კომპანიების მიერ აღებული ჯამური ვალდებულება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული ვალდებულების 20%-ს.

5. ფაკულტატური გადაზღვევის ხელშეკრულებებთან მიმართებაში, ამ წესის დანართი №1-ში მოცემული 4-ის ტოლი მაჩვენებლის მქონე გადამზღვეველ კომპანიასთან ნებადართულია ისეთი გადაზღვევის ხელშეკრულების დადება, რომლის ფარგლებშიც გადამზღვეველი კომპანიის პასუხისმგებლობის ლიმიტი ერთ რისკზე/ერთ პოლისზე არ აღემატება ამავე გადამზღვეველი კომპანიის საკუთარი კაპიტალის 10%.

6. გადაზღვევა დაუშვებელია იმ გადამზღვეველ კომპანიასთან, რომლის მიმართაც დაწყებულია გადახდისუნარიანობის (გაკოტრების) საქმის წარმოება ან სხვა საფუძვლით დაიწყო მისი ლიკვიდაცია.

7. გადაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მზღვეველი ვალდებულია მოიძიოს ინფორმაცია ამ წესის დანართ №1-ში მოცემული 4-ის ტოლი მაჩვენებლის მქონე გადამზღვეველი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც, მათ შორის, მოიცავს გადამზღვეველი კომპანიის უკანასკნელ წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

#### **მუხლი 5. ინფორმაციის წარდგენა**

1. მზღვეველი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია თითოეული ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, ხელშეკრულების დადების თარიღიდან ერთი თვის ვადაში, ამ წესის დანართი №3 და/ან დანართი №4-ის შესაბამისად, რომლის მომზადებისას უნდა იხელმძღვანელოს ამ წესის დანართი №6-ით განსაზღვრული შევსების ინსტრუქციით.

2. მზღვეველი ვალდებულია ყოველკვარტალურად, არაუგვიანეს ყოველი კვარტალის დასრულებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვისა, სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში აღებული იმ რისკების შესახებ, რომლებიც ამ წესის მიზნებისთვის განიხილება ერთ რისკად და რომლის ოდენობაც აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს, შესაბამისი გადაზღვევის ძირითადი პირობების და გადამზღვეველი კომპანიის დანართი №1-ით დადგენილი საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებლის მითითებით, ამ წესის დანართი №5-ის შესაბამისად, რომლის მომზადებისას უნდა იხელმძღვანელოს ამ წესის დანართი №6-



ით განსაზღვრული შევსების ინსტრუქციით.

3. მზღვეველი ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებულ ვადებში სამსახურს ელექტრონული ფორმით წარუდგენს მზღვეველის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან მის მიერ გაცემული შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე, ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებულ ინფორმაციას შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [report@insurance.gov.ge](mailto:report@insurance.gov.ge).

4. ინფორმაციის მომზადება ხორციელდება MSExcel-ის ფორმატით, სამსახურის მიერ დამტკიცებული ელექტრონული ფორმისა და ფორმულების დაცვით, რომლის დარღვევაც დაუშვებელია.

#### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

1. მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა საქმიანობის ყველა ეტაპზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სამსახურს.

3. მზღვეველის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.



საკრედიტო რეიტინგების, შესაბამისი გადახდისუნარიანობის  
კოეფიციენტების და მათი შესატყვისი მაჩვენებლების ცხრილი \*

საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებელი	საკრედიტო რეიტინგი Standard&Poor's (S&P)	საკრედიტო რეიტინგი AM Best	საკრედიტო რეიტინგი Fitch	საკრედიტო რეიტინგი Moody's	გადახდისუნარიანობა II-ის (Solvency II) ან მისი ეკვივალენტური საზედამბედველო რეჟიმის კოეფიციენტი
0	AAA	A++	AAA	Aaa	≥ 196%
1	AA	A+	AA	Aa	
2	A	A	A	A	≥ 175% and <196%
3	BBB	B+	BBB	Baa	≥ 122% and <175%
4	BB	B	BB	Ba	≥ 100% and <122%

\*გადამზღვეველი კომპანიისთვის ორი ან მეტი კვალიფიციური სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული განსხვავებული საკრედიტო რეიტინგის შემთხვევაში სამსახური განიხილავს გადამზღვეველი კომპანიისთვის თარიღით ბოლოს მინიჭებულ რეიტინგს.

**„ერთი რისკის“ განსაზღვრის ინსტრუქცია უძრავი ქონების დაზღვევის დროს**

1. ეს ინსტრუქცია წარმოადგენს წესის განუყოფელ ნაწილს და ადგენს მზღვეველის მიერ უძრავი ქონების დაზღვევის სახეობაში „ერთი რისკის“ განსაზღვრის სახელმძღვანელო პრინციპებს.

2. უძრავი ქონების დაზღვევის სახეობაში „ერთი რისკის“ განსაზღვრის დროს მზღვეველმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

ა) ერთ ადგილმდებარეობაზე განთავსებული ერთი უძრავი ქონების/შენობა-ნაგებობის დაზღვევისას – პოლისით/პოლისებით განსაზღვრული მაქსიმალური/ჯამური სადაზღვევო ლიმიტი;

ბ) ერთზე მეტ ადგილმდებარეობაზე განთავსებული უძრავი ქონების/შენობა-ნაგებობების დაზღვევისას – პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტი თითოეულ ადგილმდებარეობაზე არსებული ქონებისათვის;

გ) ერთ ადგილმდებარეობაზე განთავსებული რამოდენიმე უძრავი ქონების/შენობა-ნაგებობის დაზღვევისას – ქვემოთმოცემული ლიმიტებიდან უდიდესი;

გ.ა) ერთი ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობის უდიდესი სადაზღვევო ღირებულება/ლიმიტი;

გ.ბ) კონსტრუქციულად ერთმანეთთან დაკავშირებული ქონების/შენობა-ნაგებობების სადაზღვევო ღირებულება/ლიმიტების ჯამი;

გ.გ) ადვილად აალებადი შენობების იმგვარი განლაგებისას, როცა არსებობს ხანძრის გადადების/გავრცელების რისკი, ამ ტიპის შენობების ჯამური სადაზღვევო ღირებულება/ლიმიტი.

**დანართი №3, დანართი № 4 და დანართი №5-ით გათვალისწინებული ფორმების შევსების ინსტრუქცია**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს ინსტრუქცია წარმოადგენს ამ წესის განუყოფელ ნაწილს და მოიცავს ამ წესის დანართი №3, დანართი №4 და დანართი №5-ით გათვალისწინებული ფორმების ზოგიერთი მონაცემის განმარტებას და შევსების პრინციპს.

2. ამ წესის დანართი № 3, დანართი №4 და დანართი №5-ით გათვალისწინებულ ფორმებში, ველში „გადაზღვევის ხელშეკრულების ნომერი“ მიეთითება კონკრეტული ხელშეკრულების ნომერი (Reference Number), ხოლო თუ ხელშეკრულებას არ აქვს მინიჭებული ნომერი, მზღვეველს ევალება ხელშეკრულებას მიანიჭოს უნიკალური ნომერი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული ხელშეკრულების იდენტიფიცირება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციის მითითება ექვემდებარება დანართი №3, დანართი №4 და დანართი №5-ით გათვალისწინებულ სამივე ფორმაში ასახვას, ველში „გადაზღვევის ხელშეკრულების ნომერი“ მიეთითება ერთი და იგივე მაიდენტიფიცირებელი ნომერი.

3. ამ წესის დანართი №3, დანართი №4 და დანართი №5-ით გათვალისწინებულ ფორმებში, ველში „ხელშეკრულების ვალუტა“ მიეთითება ვალუტა, რომელშიც, გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად, დაფიქსირებულია გადამზღვეველის მონაწილეობა სადაზღვევო თანხაში (სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტში).

4. ამ წესის დანართი №3, დანართი №4 და დანართი №5-ით გათვალისწინებული ფორმების იმ ველებში, სადაც მითითებას (არჩევას) ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული მონაცემებიდან ერთ-ერთი, დაუშვებელია სხვა მონაცემის მითითება.

5. დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უცხოურ ვალუტაში ასახული თანხები ექვემდებარება გადათვლას ეროვნულ ვალუტაში, საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებული ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

**მუხლი 2. დანართი №3 და დანართი №4-ით გათვალისწინებული ფორმების ზოგიერთი მონაცემის შევსების პრინციპი**

1. „გადაზღვევის შუამავალი (ბროკერი), რეგისტრაციის ქვეყანა“ – გადაზღვევის შუამავალი/სადაზღვევო ბროკერი, რომლის მეშვეობითაც ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკის სრულად ან ნაწილობრივ გადამზღვეველისათვის გადაცემა, მისი რეგისტრაციის ქვეყანის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ შუამავალი მონაწილეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკის ნაწილის გადაცემაში (გადაზღვევაში), ველში – „შენიშვნა“ მიეთითება შესაბამისი გადამზღვეველის დასახელება.



2. „განსხვავება დაზღვევისა და გადაზღვევის დაფარვის პირობებში (რისკების დაფარვაში)“ - განსხვავება დაზღვევის პოლისით გათვალისწინებულ დაფარვასა და გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვას შორის, როდესაც დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული დაფარვა აღემატება გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვას.

3. „ხელშეკრულების რიგითობა (ერთზე მეტი გადაზღვევის ხელშეკრულების არსებობისას)“ - გადაზღვევის ხელშეკრულების რიგი/თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ხდება ზიანის ანაზღაურება (მაგ.: რისკზე, ერთდროულად, ობლიგატორული (პროპორციული) გადაზღვევის ხელშეკრულების არსებობისას, ან ფაკულტატური (პროპორციული/არაპროპორციული) გადაზღვევის ხელშეკრულების პრიორიტეტად გამოყენებისას ან თუ ხელშეკრულებით დაფარულ რისკებს ასევე ფარავს ბუნებრივი კატასტროფებისგან გადაზღვევის ხელშეკრულება და ა.შ.).

4. „ხელშეკრულებით დაფარულ რისკებს ასევე ფარავს ბუნებრივი კატასტროფებისგან გადაზღვევის ხელშეკრულება“ - ასეთის არსებობის შემთხვევაში, ველში – „შენიშვნა“ მიეთითება ხელშეკრულების ნომერი, ლიმიტი, ვალუტა და გადაზღვევის ტიპი (პროპორციული/არაპროპორციული). ხოლო თუ ხელშეკრულება არ ფარავს ყველა სახის ბუნებრივ კატასტროფას, ველში მიეთითება დაფარული რისკების ჩამონათვალი.

### **მუხლი 3. დანართი №5-ით გათვალისწინებული ფორმის ზოგიერთი მონაცემის შევსების პრინციპი**

1. „რისკის ადგილმდებარეობა“ –

ა) უძრავი ქონებისა და საწარმოო მანქანა-დანადგარების დაზღვევის შემთხვევაში მიეთითება ქონების ფაქტობრივი ადგილმდებარეობა - ქვეყანა, ქალაქი ან რეგიონი;

ბ) სხვა ქონებრივი რისკების (ტვირთები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.) და პასუხისმგებლობის დაზღვევისას მიეთითება პოლისით განსაზღვრული დაფარვის გეოგრაფიული არეალი. თუ პოლისით არ არის განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი, მიეთითება – „სხვა“.

2. „დაზღვევის სახეობა/ქვესახეობა“ – მიეთითება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №03-ით დამტკიცებული „ზღვეველის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესით“ განსაზღვრული დაზღვევის სახეობის ქვესახეობა, ხოლო ქვესახეობის არარსებობის შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი სახეობა.

3. „შესაძლო მაქსიმალური ზარალი (PML)“ – თუ დაზღვევის ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრულია შესაძლო მაქსიმალური ზარალი (PML), რომელიც ნაკლებია დაზღვევის ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხაზე, მოცემულ ველში მიეთითება შესაძლო მაქსიმალური ზარალის (PML)-ის ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლო მაქსიმალური ზარალი (PML) დაზღვევის ხელშეკრულებით/პოლისით

განსაზღვრული არ არის, მიეთითება სადაზღვევო თანხა (დაზღვევის ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული მაქსიმალური ლიმიტი ერთ შემთხვევაზე).

4. „სპეციალური შეთანხმება“ – ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებისას არსებული შეთანხმება რისკის სრულად გადაზღვევის თაობაზე, მიუხედავად დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების სტანდარტულ პირობებში არსებული განსხვავებისა.

5. „მზღვეველის შეკავება (პროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში)“ – მიეთითება მზღვეველის საკუთარი შეკავების პროცენტული ოდენობა.

6. „მზღვეველის შეკავება (არაპროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში)“ – მიეთითება მზღვეველის საკუთარი შეკავების თანხობრივი ოდენობა.

7. „გადაზღვეული წილი (პროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში)“ – მიეთითება გადამზღვეველის წილი პროცენტულ ოდენობაში.

8. „გადაზღვეული ლიმიტი (არაპროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში)“ – მიეთითება გადამზღვეველის კუთვნილი ლიმიტის შესაბამისი თანხობრივი ოდენობა.

9. ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების მიზნებისთვის, ერთ რისკზე ორი ან მეტი გადაზღვევის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, დანართი №5-ით განსაზღვრული სექციაში – „აღებული რისკი“ მონაცემები ჩაიწეროს განმეორებით, ხოლო სექციაში – „გადაზღვევა“, მონაცემები ჩაიწეროს ცალ-ცალკე სტრიქონებში.

10. „აგრეგირებული ლიმიტი“ – მიეთითება გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული მაქსიმალური ლიმიტი ერთ რისკზე.

11. „გადამზღვეველის წილი გადაზღვევის მთლიან ოდენობაში“ – მიეთითება თითოეული გადამზღვეველის მიერ მიღებული წილის პროცენტული მაჩვენებელი გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად.

12. „გადამზღვეველის საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებელი“ – მიეთითება ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული „საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებლის“ შესაბამისი ციფრი.

13. „გადახდისუნარიანობა II-ის (Solvency II) ან მისი ეკვივალენტური სახედამხედველო რეჟიმის კოეფიციენტი“ – მიეთითება იმ შემთხვევაში, თუ გადამზღვეველს არ გააჩნია ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგი.

14. „გადამზღვეველები, რომლებიც მონაწილეობენ რისკში 5 ან ნაკლები პროცენტით“ – სექციაში მონაცემები მიეთითება ჯამურად, ყველა იმ გადამზღვეველზე, რომელთა მონაწილეობა რისკში 5% ან ნაკლებია.